1)

თუ რიცხვის წაკითხვაში გვხდება მილიარდი, მაშინ ჩამოთვლილთაგან რამდენნიშნა შეიძლება იყოს ეს რიცხვი?

ა) 7 ბ) 8 გ) 9 დ) 11

2)

დაწერე ცხრანიშნა რიცხვი, რომელიც ნაკლებია 100000015-ზე და მისი ერთეულების თანრიგის ციფრია 5.

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

3)

მეცნიერთა დათვლებით ადამიანი შედგება დაახლობით ასოცი ტრილიონი უჯრედისაგან. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ რიცხვის ჩანაწერი?

ა) 120000000000 ბ) 1200000000000

გ) 12000000000 დ) 10020000000

4)

მოცემული რიცხვის 6120025000502 მოკლე სიტყვიერი ჩანაწერია:

ა) 612 მილიარდ 25 მილიონ 502

ბ) 6 ტრილიონ 120 მილიარდ 25 მილიონ 502

გ) 6 ტრილიონ 12 მილიარდ 25 მილიონ 502

დ) 61 მილიარდ 200 მილიონ 25 ათას 502


LIVEWORKSHEETS

5)

ლაშამ გადაწყვიტა n ცალი სურათის დახატვა. საჭირო რაოდენობის ქაღალდში მან 15 ლარი გადაიხადა, თითოეული სურათისთვის მასალაში - 8 ლარი. სულ 55 ლარი დახარჯა.

ქვემოთ ჩამოთვლილი ტოლობებიდან რომელი ტოლობა აღწერს ამოცანის პირობას?

ა) 15n+8=55

ბ) 15n-8=55

გ) 8n+15=55

დ) 8n-15=55

6)

ანას გიორგიზე 5-ჯერ მეტი რაოდენობის ფერადი კენჭი აქვს, გიორგის - $b$ ცალი. რომელი ტოლობა გიჩვენებს ორივეს ფერადი კენჭების რაოდენობას?

ა) $b + b + 5 = 2b + 5$

ბ) $b + 5b = 6b$

გ) $b + \frac{b}{5} = \frac{6}{5}b$

დ) $b + b - 5 = 2b - 5$

7)

ქვემოთ შემოხაზე სწორი ტოლობა:

ა) $5 \cdot (y + 2) = 10 + 5 \cdot y$

ბ) $(x + 2) \cdot 6 = x + 12$

გ) $4 \cdot b + 8 = 4 \cdot (b + 8)$

დ) $5 + 4 \cdot a = 9 \cdot a$



LIVEWORKSHEETS

8)

ტურისტი 4-დღიანი მოგზაურობისას ყოველ მომდევნო დღეს გადიოდა 2 კმ-ით მეტს, ვიდრე წინა დღეს. რამდენი კილომეტრი გაიარა ტურისტმა პირველ დღეს, თუ ამ მოგზაურობის ბოლო დღეს გაიარა 20 კმ?

ა) 28 კმ

ბ) 26 კმ

გ) 12 კმ

დ) 14 კმ

9)

დააკვირდი სურათს და უპასუხე შემდეგ შეკითხვას:

6 დინოზავრი უფრო მძიმეა, თუ 23 სპილო?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:



LIVEWORKSHEETS

10)

ბურთის ფასი თავიდან იყო 17 ლარი, ამის შემდეგ მისი ფასი გაიზარდა X ლარით. საზაფხულო თამაშებისთვის ბანაკში შეიძინეს 5 ცალი ბურთი, რაშიც სულ გადაიხადეს (17+X)•5 ლარი. გარდაქმენი მოცემული გამოსახულება და ცარიელ უჯრაში ჩაწერე ბურთებში სულ გადახდილი თანხა სხვა სახით:


LIVEWORKSHEETS